



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგტკიცებ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

ა. შ.

“*2*” *ფებრუარი* 2018 წელი

N *52/36*

ვგზ: N1

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული
ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესახებ....	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა	6
1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	6
1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები.....	6
1.2.1 კონსოლიდაცია.....	6
1.2.2 აქციები და სხვა კაპიტალი.....	7
1.2.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და კრედიტორული დავალიანებები.....	8
1.2.4 ძირითადი აქტივები	10
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	12
2.1 ბუღალტრული აღრიცხვა	12
2.2 ფულის ნაშთი.....	13
2.3 საგადასახადო საკითხები	13
2.4 შემოსავლის არასწორ პერიოდში აღრიცხვა.....	14
2.5 ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი	14
2.6 შენობის იჯარის ხარჯი	14
2.7 შრომის ანაზღაურება.....	15
3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	17
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.....	18
ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).....	20
ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	22
ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	23
ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	25
ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება.....	26

ტერმინთა განმარტება

- აკრედიტაციის ცენტრი** - სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი;
- აღრიცხვის ინსტრუქცია** - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- აწარმოე საქართველოში** - სსიპ აწარმოე საქართველოში;
- ეკონომიკის სამინისტრო** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ენერგეტიკის სამინისტრო** - ყოფილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
- მეტროლოგიის სააგენტო** - სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო;
- საზღვაო აკადემია** - სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო** - სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
- სამინისტროს აპარატი** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი;
- ტურიზმის ადმინისტრაცია** - სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- ქონების ეროვნული სააგენტო** - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- ინოვაციების სააგენტო** - სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამასთან, 2017 წლის 7 დეკემბრის კანონის ცვლილების¹ მიხედვით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო გახდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამონაცვლე. ინფორმაცია სამინისტროს 2017 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ მოცემულია ცხრილ N1-ში.

ცხრილი N1

ათას ლარებში

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო
სამინისტრო (ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროს ნაერთი)	673,767	693,072	690,024
მომუშავეთა რიცხოვნობა	948	-	-
ხარჯები	150,779	261,991	253,545
შრომის ანაზღაურება	14,365	14,462	14,772
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,187	3,143	2,727
ფინანსური აქტივების ზრდა	517,801	427,938	433,752
ვალდებულებების კლება	-	0	0
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	476,467	486,214	482,538
მომუშავეთა რიცხოვნობა	804	-	-
ხარჯები	133,149	240,713	237,417
შრომის ანაზღაურება	11,800	11,937	12,305
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,157	2,863	2,483
ფინანსური აქტივების ზრდა	338,161	242,638	242,638
ვალდებულებების კლება	-	0	0
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	197,300	206,858	207,486
მომუშავეთა რიცხოვნობა	144	-	-
ხარჯები	17,630	21,278	16,128
შრომის ანაზღაურება	2,565	2,525	2,467
არაფინანსური აქტივების ზრდა	30	280	244
ფინანსური აქტივების ზრდა	179,640	185,300	191,114

1 „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ცხრილი N2

ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების² გადანაწილების შესახებ (ათას ლარებში):

საბალანსო ერთეულის დასახელება	690,024	100%
ეკონომიკის სამინისტროს აპარატი	29,527	4.28%
ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი	352,162	29.99%
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	206,918	51.04%
სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	51,137	7.41%
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო	39,348	5.70%
სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	5,954	0.86%
ა(ა)იპ ოფუენ ნეტი	1,085	0.16%
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	1,069	0.15%
სსიპ სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	805	0.12%
სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	599	0.09%
სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო	596	0.09%
სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	568	0.07%
სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი	140	0.02%
ა(ა)იპ ინვესტორთა საბჭოს სამდივნო	114	0.02%
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	-	0.00%
სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	-	0.00%
სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	-	0.00%
სსიპ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	-	0.00%

2 ფინანსური ანგარიშგების "ფორმა N2-ის" მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 55.1 მილიონი ლარი

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 უარყოფითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს³ მოცემული თარიღით დასრულებული საღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 კონსოლიდაცია

2017 წლის 7 დეკემბერს, კანონში⁴ განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, გაუქმდა ენერგეტიკის სამინისტრო და მის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. შეცვლილი კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე. საკანონმდებლო მაცნეში აღნიშნული კანონი გამოქვეყნდა 2017 წლის 14 დეკემბერს, შესაბამისად საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახულიყო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ფინანსური მაჩვენებლები, რაც არ განხორციელებულა. აღსანიშნავია, რომ ყოფილი ენერგეტიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა და ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია ცალკე, ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგებისგან დამოუკიდებლად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აქედან გამომდინარე ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარდგენილი კონსოლიდირებული⁵ ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს - ყოფილ ენერგეტიკის სამინისტროს.

ასევე, ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული⁶ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის განხორციელებული 110,131 ლარის ოპერაცია.

3 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით (იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.sao.ge).

4 „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი

5 მუხლი 39

6 მუხლი 39 პუნქტი 30

1.2.2 აქციები და სხვა კაპიტალი

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 414,587,666 ლარის აქციები და სხვა კაპიტალი. აღნიშნული მუხლი შედგება ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების კაპიტალში განხორციელებული ფულადი შენატანებისაგან.

ფულადი შენატანების გარდა ქონების ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო საწარმოებში ქონებრივ და წილობრივ შენატანებს.

ქონებრივმა შენატანებმა 2016 და 2017 წლებში შესაბამისად შეადგინა 180,699,673 და 52,749,044 ლარი, ხოლო ქონების ამოღებებმა შესაბამისად - 1,554,233 და 24,268,106 ლარი.

წილობრივმა შენატანებმა კი 2016 და 2017 წლებში შესაბამისად შეადგინა 16,103,075 და 5,769,871 ლარი, ხოლო წილის ამოღებებმა კი 2017 წელს - 96,000 ლარი.

ცხრილი N3

2016 და 2017 წლები	შეტანა	ამოღება	სხვაობა
ქონებრივი	233,448,717	25,822,339	207,626,378
წილობრივი	21,872,946	96,000	21,776,946
ჯამი	255,321,663	25,918,339	229,403,324

აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლებში სს საპარტნიორო ფონდში სააგენტომ განახორციელა შესაბამისად 33 და 48 ქონებრივი შენატანი, რისი ღირებულების შესახებაც სააგენტო ინფორმაციას არ ფლობს.

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული არც ქონებრივი, არც წილობრივი ტიპის შენატანები და ამოღებები არ არის ასახული⁷ მის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარდა ამისა, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სრული ინფორმაცია ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლამდე საწარმოთა კაპიტალში განხორციელებული შენატანებისა და კაპიტალიდან ამოღებული ქონების შესახებ.

ქონების ეროვნულ სააგენტოს მართვაში აქვს სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან გადმოცემული ისეთ შპს-ები, რომლებშიც ფულადი შენატანები არ განუხორციელებია, მაგ. თბილავიამშენი. აღნიშნული შპს-ები არ არის ასახული მის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთი, ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული დოკუმენტაციის მიხედვით, მინიმუმ 229,403,322 ლარით არის შემცირებული.

ეკონომიკის სამინისტროს აპარატი

შპს თეთნულდი დეველოპმენტი, წარმოადგენს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს (100% სახელმწიფოს წილი, 2013 წლის 29 მაისამდე მართავდა ქონების ეროვნული სააგენტო), 2013 წელს მთავრობის განკარგულების⁸ საფუძველზე ეკონომიკის სამინისტროს შპს თეთნულდი დეველოპმენტში განხორციელებული აქვს კაპიტალის შენატანი 3,000,000 ლარის ოდენობით. 2013 წლის 29 მაისიდან აღნიშნული კომპანია ხელშეკრულების⁹ საფუძველზე მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. გადაცემის ხელშეკრულება შეწყდა 2016 წლის 23 მარტს ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის

7 მუხლი 9 პუნქტი 3

8 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მაისის N423 განკარგულება

9 2013 წლის 29 მაისს ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

ბრძანებით¹⁰. ამის შემდგომ, 2016 წელს, ეკონომიკის სამინისტროს წერილის¹¹ საფუძველზე ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა შპს თეთნულდი დეველოპმენტში კაპიტალური შენატანი ფულადი ფორმით 5,000,000 ლარის ოდენობით.

ამავე წლის 22 დეკემბრის ბრძანების¹² საფუძველზე აღნიშნული შპს-ს 100%-იანი წილი შეტანილი იქნა შპს მთის განვითარების კომპანიის კაპიტალში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-ით ფლობილ შპს-ს და მართავს ქონების ეროვნული სააგენტო. გადაცემის მომენტში შპს თეთნულდი დეველოპმენტის კაპიტალი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განისაზღვრა 77,366,020 ლარად.

შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროს უნდა დაეფიქსირებინა აქციებისა და კაპიტალის ზრდა შპს მთის განვითარების კომპანიაში 77,366,020 ლარის ოდენობით¹³ და კლება 8,000,000 ლარის ოდენობით, ვინაიდან აღნიშნული 3,000,000 და 5,000,000 ლარი მონაწილეობს 77,366,020 ლარის ფორმირებაში, რაც არ განუხორციელებია.

1.2.2 ქვეთავში მოცემული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 480,477,111 ლარის ღირებულების გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების ნაშთის სისრულესა და სიზუსტეზე.

1.2.3 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 10,200,436 ლარის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები და 15,665,175 ლარის კრედიტორული დავალიანებები. ამათგან 3,816,390 ლარის მოთხოვნებისა და 1,001,500 ლარის ვალდებულებების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 3,816,390 ლარის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნებისა და 1,001,500 ლარის სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების არსებობაზე. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნების 99% და ვალდებულებების 83% წარმოშობილია 1997-2007 წლებში.

ზემოთ მოცემული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ირიცხება შემდეგი ორგანიზაციების ბალანსზე:

დებიტორული დავალიანებები

- ┌ სამინისტროს აპარატი - 389,748 ლარი;
- ┌ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - 235,002 ლარი;
- ┌ საჰაერო ტრანსპორტის სააგენტო - 3,191,640 ლარი;
- სულ: 3,816,390 ლარი

კრედიტორული დავალიანებები

- ┌ სამინისტროს აპარატი - 743,363 ლარი;
- ┌ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - 12,785 ლარი;
- ┌ საჰაერო ტრანსპორტის სააგენტო - 54,854 ლარი;
- ┌ ტექნიკური სამშენებლო ზედამხედველობა - 190,498 ლარი;
- სულ: 1,001,500 ლარი

10 ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 23 მარტის N1/1-928 ბრძანება "შპს „თეთნულდი დეველოპმენტის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის 2013 წლის 29 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

11 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016 წლის 19 აგვისტოს წერილი N18/5392

12 სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N1/1-4079

13 მუხლი 10 გ პუნქტი

2017 წელს და ასევე წინა პერიოდში აღნიშნული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების იდენტიფიცირებისათვის საკმარისი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

სსიპ აწარმოე საქართველოში

საქართველოს მთავრობის დადგენილების¹⁴ საფუძველზე სსიპ აწარმოე საქართველოში ახორციელებს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამას, რის ფარგლებშიც ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 4 კომპანიასთან¹⁵. კონტრაქტორები უშუალოდ ახორციელებენ პროგრამის იმპლემენტაციას და გასცემენ რეკომენდაციებს სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარის(ების) თანადაფინანსებასთან დაკავშირებით.

მას შემდეგ რაც კონტრაქტორი სააგენტოს მიაწვდის ინფორმაციას შერჩეული კანდიდატების შესახებ სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას დააფინანსების შესახებ. დაფინანსების შემთხვევაში სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის ფორმდება ხელშეკრულება¹⁶, რომლის მიხედვითაც სააგენტო უფლებამოსილია უკან მოითხოვოს ბენეფიციარის მიერ არამიზნობრივად დახარჯული თანხა.

მთავრობის დადგენილებით¹⁷ და კონტრაქტორ კომპანიებსა და აწარმოე საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების¹⁸ მიხედვით, კონტრაქტორი ვალდებულია აწარმოე საქართველოს წარმოდგინოს ბენეფიციარების მონიტორინგის პერიოდული ანგარიშები, რაც ხშირ შემთხვევაში არ სრულდება. აწარმოე საქართველოში ბენეფიციარების მიერ კონტრაქტის პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციას იღებს მხოლოდ კონტრაქტორების მეშვეობით. შესაბამისად აწარმოე საქართველოში ვერ ფლობს სრულ ინფორმაციას პრობლემური ბენეფიციარების შესახებ.

აწარმოე საქართველოს ინფორმაციით, 46-მა ბენეფიციარმა, რომელთა დაფინანსებამ შეადგინა 315,104 ლარი, არ შეასრულა კონტრაქტის პირობები. აღნიშნული თანხა აწარმოე საქართველოში-ს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, როგორც მოთხოვნა და არც მათი დაბრუნებისთვის განხორციელებულა ქმედებები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სააგენტოში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები რაც უზრუნველყოფდა კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ფულისა (1260 დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში) და ვალდებულებების (3110 ვალდებულებები დეპოზიტებით) ნაშთი 1,270,024 ლარის ოდენობით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წინა წლებში ჩარიცხულ თანხებს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის (2017 წლის 31 დეკემბერი) არ არის ცნობილი წარმოადგენს ქონების ეროვნული სააგენტოს გამომუშავებულ შემოსავალს, დასაბრუნებელი აქვს ორგანიზაციებისათვის თუ ბიუჯეტში აქვს მისამართი.

14 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

15 შპს თბილისის ბიზნეს ტრენინგის ცენტრი, ა(ა)იპ რეგიონული განვითარების ასოციაცია, ა(ა)იპ საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია-საქართველოს სკაუტები, შპს ჯი ემ სი ჯი

16 ხელშეკრულების მუხლი 3.4 პუნქტი 3.4.2

17 საქართველოს მთავრობის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ მუხლი 12 თ პუნქტი.

18 ხელშეკრულების მუხლი 4 პუნქტი 4.8

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

საზღვაო აკადემიამ განახორციელა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების უარყოფითი ნაშთების რეკლასიფიკაცია. ანალოგიურად უნდა გასწორებულიყო შესაბამისი საწყისი ნაშთებიც. აღნიშნულის გამო, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივის საწყისი ნაშთი შემცირებულია 382,284 ლარით და სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების საწყისი ნაშთი კი 382,248 ლარით. მხოლოდ საბოლოო ნაშთების შესწორება გავლენას ახდენს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგების საოპერაციო ნაწილის სისწორეზე. კერძოდ, დებიტორული დავალიანების 24,339 ლარით ზრდა წარდგენილია როგორც 357,946 ლარით კლება და კრედიტორული დავალიანების 68,597 ლარით შემცირება წარდგენილია, როგორც 409,940 ლარით ზრდა.

1.2.3 ქვეთავში მოცემული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების (10,200,436 ლარი) და კრედიტორული დავალიანებების (15,665,175 ლარი) არსებობასა და სიზუსტეზე.

1.2.4 ძირითადი აქტივები

ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ნაშთი 32,784,988 ლარის ოდენობით, საიდანაც 32,136,768 ლარის აქტივები წარმოადგენს საფრანგეთის სახელმწიფოს ხელშეწყობით¹⁹ ზემო სვანეთში სამთო-სათხილამურო საბაგიროების მოწყობის სამუშაოებს.

აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში, 2011-2013 წლებში, უცხოეთიდან შემენილი მანქანა დანადგარების (საბაგირო მოწყობილობების) ღირებულება შეადგენდა 31,584,783 ლარს. ხოლო მათი იმპორტის გადასახადი 551,985 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის განკარგულების²⁰ მიხედვით აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, ასევე საპროექტო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ღონისძიებების განხორციელების მიზნით შესყიდული „სამუშაოების“ და „საქონლისა და მომსახურების“ ღირებულება აისახება კომპანია შპს თეთნულდი დეველოპმენტის კაპიტალში. შესაბამისად დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი სამინისტროს უნდა გადაეცა შპს თეთნულდი დეველოპმენტისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2015 წელს, ეკონომიკის სამინისტროსა და მესტიის მუნიციპალიტეტს (ამ პერიოდში შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“ იყო მესტიის მუნიციპალიტეტის მართვის ქვეშ) შორის შედგა კომუნიკაცია²¹ ამ აქტივების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის თაობაზე. 2015 წლის 30 ივლისს ეკონომიკის მინისტრის მიერ გამოიცა ბრძანება²² აღნიშნული აქტივების გადაცემის თაობაზე. ბრძანება ითვალისწინებდა მიღება ჩაბარების გაფორმებას სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის, რაც არ განხორციელებულა.

შედეგად, ეკონომიკის სამინისტროს დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია 32,136,768 ლარით მეტი ღირებულებით.

19 მიწოდების ხელშეკრულება EPE_MESTIAa_2011

20 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მაისის N423 განკარგულების ე პუნქტი

21 მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილი N349 20.05.2015

22 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/328

ქონების ეროვნული სააგენტო კანონის²³ და დებულების²⁴ საფუძველზე, უფლებამოსილია სახელმწიფო ქონების პრივატიზებასა და მათ იჯარით გაცემაზე, თუმცა საპრივატიზებო და საიჯარო ქონება არ აქვს ასახული ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში. სააგენტომ 2017 წელს მოახდინა 78,910,957 ლარის ღირებულების იმ ქონების პრივატიზება, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში არ ჰქონდა დაფიქსირებული როგორც აქტივი.

ასევე, სააგენტოს აქტივად არ ჰქონდა აღრიცხული ის საიჯარო ქონება, რომელთა წლიურმა ჯამურმა საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 3,463,957 ლარი.

ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში, საზღვაო აკადემიასა და აკრედიტაციის ცენტრში 2017 წელს არ ჩატარებულა სავალდებულო²⁵ ინვენტარიზაცია.

ასევე აღსანიშნავია, რომ სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტომ“ ინვენტარიზაცია განახორციელა ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანებასთან რიგი შეუსაბამობებით, კერძოდ:

-)/ სააგენტოს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების დიდ ნაწილს არ აქვს მინიჭებული უნიკალური საინვენტარო ნომრები;
-)/ საინვენტარო უწყისებში კონკრეტული აქტივები შეტანილია კომპლექტებად;
-)/ ინვენტარიზაციის აქტში ხშირად მითითებულია მხოლოდ ფაქტიურად არსებული აქტივები, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები მითითებული არ არის, ხოლო რიგ შემთხვევებში პირიქით;
-)/ ამავე ბრძანებით ინვენტარიზაცია უნდა დასრულებულიყო 2017 წლის ბოლოს, ხოლო ფაქტიურად დასრულდა 2018 წლის 6 თებერვალს;

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტო

მეტროლოგიის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული აქვს ორი ძირითადი აქტივი, რომლებსაც არ არიცხავს ცვეთას²⁶:

-)/ სახლი სოხუმში საბალანსო ღირებულებით 72,619 ლარი;
-)/ შენობა ფოთში (ზუგდიდის ქუჩაზე) ღირებულებით 9,600 ლარი;

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

საზღვაო აკადემიას 2017 წელს უსასყიდლოდ გადმოეცა აქტივები, რომელთა ღირებულების შეფასება²⁷ აკადემიამ განახორციელა 2018 წელს, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით აქტივების ღირებულება განისაზღვრა 1,134,700 ლარით. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზღვაო აკადემიის ფორმა N1 კერძოდ სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის მუხლი აღნიშნული თანხით ნაკლებად არის წარმოდგენილი.

საზღვაო აკადემიის საკუთრებაშია ქ. ბათუმში მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწა 2,821 მ² და მასზედ მდებარე შენობა-ნაგებობა საერთო ფართობით 3,267.74 მ². აღნიშნული აქტივები, ფინანსური

23 საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ

24 საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის დადგენილება № 39 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

25 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ

26 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N439 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

27 ექსპერტიზის დასკვნა N002361418 11.04.2018

ანგარიშგების ფორმა N1-ში წარდგენილია მხოლოდ შენობაზე გაწეული კაპიტალიზირებული ხარჯის ღირებულებით 333,211 ლარით.

არამატერიალური აქტივები

სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხება 853,713 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივები (სარეკლამო რგოლები) რომლებიც მოძველებულია და აღარ გამოიყენება. აღნიშნული აქტივები აღრიცხვის ინსტრუქციის²⁸ მიხედვით ვერ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ძირითადი აქტივების ნაშთი გაზრდილია 853,713 ლარით.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროსაგან გადმოცემული აქტივები

2017 წლის 25 მაისს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტრომ ქონების ეროვნულ სააგენტოს გადასცა სხვადასხვა მანქანა-დანადგარები, სულ 6,728,604 ლარის ღირებულების. აღნიშნული აქტივები არ არის ასახული ქონების ეროვნული სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.2.4 ქვეთავში მოცემული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 81,326,915 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების სისრულესა და სიზუსტეზე.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსაგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ბუღალტრული აღრიცხვა

სამინისტროს აპარატში, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და აკრედიტაციის ცენტრში არ გამოიყენება სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა. რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს. მაგ: აკრედიტაციის ცენტრი არ აწარმოებს მთავარ წიგნს, რიგ შემთხვევებში დარღვეულია ორმაგი ჩაწერის პრინციპი, არასწორად არის კლასიფიცირებული და წარდგენილი მიღებული შემოსავლები ფინანსური ანგარიშგების დანართ N2-ში და ა.შ.

სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

ინოვაციების სააგენტო ბუღალტერიას აწარმოებს სპეციალიზებულ საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამაში, თუმცა ეს აღრიცხვა არასრულყოფილი და არაზუსტია. კერძოდ, საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ქონების ეროვნულ სააგენტოს, 2017 წლის ბუღალტრულ ჩანაწერებში არ აქვს ასახული 426,321 ლარის აქტივების მიღება და ამავე წელს აწარმოე საქართველოსთვის გადაცემა.

28 3-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ ქვეპუნქტი

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა სამინისტროს აპარატში 2018 წლიდან მიმდინარეობს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის დანერგვის პროცესი.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებულ არცერთი უწყებაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით²⁹ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა³⁰ შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგ საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

2.2 ფულის ნაშთი

სამინისტროს აპარატი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის საბალანსო ანგარიშზე, სხვა ანგარიშები ბანკში, ერიცხება ყოფილი სამინისტროების (ეკონომიკის, ქონების, მრეწველობისა და ვაჭრობის) ბალანსებიდან გადმოსული გაურკვეველი ნაშთი - 210,370 ლარი, რომლის არსებობაზე რწმუნება ვერ იქნა მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნაშთი წარმოშობილია 2004 წელს.

2017 წლის 6 ივლისს ეკონომიკის სამინისტრომ წერილით³¹ მიმართა საქართველოს ეროვნულ ბანკს ყოფილი ეკონომიკის, ქონების, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების ნაშთების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. აღნიშნული წერილის პასუხად 2017 წლის 14 ივლისს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამინისტროს აცნობა³², რომ ეროვნული ბანკის საარქივო მასალებში აღნიშნული კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიში არ იძებნება.

2.3 საგადასახადო საკითხები

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, ტურიზმის ადმინისტრაციასა და საზღვაო აკადემიის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საგადასახადო აქტივები არ შეესაბამება შემოსავლების სამსახურში საგადასახადო ბარათზე არსებული აქტივების ნაშთებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის ეკონომიკის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ზოგიერთი სსიპ ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ 10%-ს აღიარებს ხარჯად და იქვითავს ერთობლივი შემოსავლიდან, ხოლო სსიპ-ების გარკვეული ნაწილი არ იქვითავს. სამინისტროს სისტემაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის დანერგილი ერთიდაიგივე პრაქტიკა.

ცხრილი N4

ცხრილში მოცემულია სსიპ-ების მიდგომა აღნიშნულ 10%-ის გადასახადთან დაკავშირებით:

29 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 12.

30 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, მუხლი 13, პუნქტი 8

31 #18/4009

32 წერილი #2-15/2648

ორგანიზაცია	მოგების გაანგარიშებისთვის გამოიქცევა	ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა
ტურიზმის ადმინისტრაცია	არ გამოიქცევა	ფორმა N4
მეტროლოგიის სააგენტო	გამოიქცევა	ფორმა N2
სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	არ გამოიქცევა	ფორმა N2
ქონების ეროვნული სააგენტო	გამოიქცევა	ფორმა N2
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	არ გამოიქცევა	ფორმა N2
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	არ გამოიქცევა	ფორმა N2
სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	გამოიქცევა	ფორმა N2

2.4 შემოსავლის არასწორ პერიოდში აღრიცხვა

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

საზღვაო აკადემიის 2017 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 167,818 ლარის შემოსავლებს, რაც წარმოადგენს წინა წლებში გამომუშავებულ შემოსავალს რაც უნდა ასახულიყო წინა შესაბამის პერიოდებში. გამომდინარე აქედან, 167,818 ლარით არასწორად არის გაზრდილი 2017 წლის შემოსავლების ანგარიში.

2.5 ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო საქართველოს მთავრობის დადგენილების³³ მიხედვით წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტს, ის თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში იყენებს რამდენიმე სერვერს სადაც განთავსებული აქვს სხვადასხვა პროგრამები და ინფორმაციები.

2017 წლის 2 მაისს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში დაფიქსირდა ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტი (კიბერ თავდასხმა), რის შედეგადაც დაიბლოკა ზემოთ ხსენებულ სერვერებზე განთავსებული ფაილური სისტემა და პროგრამები. დაშიფრულია და შესაძლებელია დაკარგული იყოს სხვადასხვა პერსონალური და კრიტიკული ინფორმაცია.

ორგანიზაციაში არ არსებობს სარეზერვო ასლების შენახვის პოლიტიკა, ამიტომ შესაძლოა დაკარგული ინფორმაციის აღდგენა შეუძლებელი ან დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული აღმოჩნდეს, რამაც საბოლოო ჯამში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის უწყვეტ საქმიანობაზე. მსგავსი ინციდენტები შესაძლოა ასევე შეიცავდეს სხვა მნიშვნელოვან რისკებსაც.

2.6 შენობის იჯარის ხარჯი

2014 წლის 30 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით აწარმოე საქართველოს სს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისაგან იჯარით³⁴ აღებული აქვს არასაცხოვრებელი შენობა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში მარჯანიშვილის ქუჩა N5/16-18-ში.

ხელშეკრულების მიხედვით საიჯარო ფართი განისაზღვრა 198 მ²-ით, ხოლო ყოველთვიური საიჯარო ქირა 3,564 აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულ ხელშეკრულებაში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები, რაც ითვალისწინებდა საიჯარო ფართის ან/და იჯარის ყოველთვიური ქირის ზრდას.

2017 წლის 7 სექტემბრიდან საიჯარო ფართი შეადგენდა 921,59 მ²-ს ხოლო საიჯარო ქირა 16,378 აშშ დოლარს.

³³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის დადგენილება №312 კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

³⁴ 2014 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართობის იჯარით გადაცემის თაობაზე N31

2014-2017 წლებში სსიპ-მა ქირის სახით გადაიხადა 946,883 ლარი, მათ შორის 2017 წლის საიჯარო ქირამ 420,735 ლარი შეადგინა.

სსიპ-ის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ხარჯ-ეფექტურობის ანალიზი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ალტერნატივის დანახარჯისა და სარგებლის შედარება და საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება.

2.7 შრომის ანაზღაურება

სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში სახელფასო დანამატები გაიცემოდა სხვადასხვა საფუძვლით, თუმცა დანამატის გაცემის შემთხვევაში, ზეგანაკვეთური მუშაობის ან/და განსაკუთრებული სამუშაოს შესრულების სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა ორგანიზაციაში არ ხდებოდა.

სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე სულ 2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 26,365,952 ლარის ხარჯი, მათ შორის, დანამატი 3,926,265 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 14.9%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

ეკონომიკის სამინისტროს აპარატში დამტკიცებულ საშტატო რიცხოვნობას ფაქტობრივად წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებულთა რიცხოვნობა ჩამორჩება 27%-ით, ქონების ეროვნულ სააგენტოში 11%-ით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში 28%-ით, სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოში 17%, ხოლო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოში 70%-ით. დაგეგმვის ეტაპზე საშტატო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად არ უნდა აჭარბებდეს წლის განმავლობაში ფაქტიურად დასაქმებულთა რაოდენობას, რადგან არასწორად დაგეგმვის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების ათვისება ან გადანაწილება მუხლს შიგნით, პრემიებისა და დანამატების გასაცემად, არ შეიძლება კარგ პრაქტიკად ჩაითვალოს. იხ. ცხრილი N5.

ცხრილი N5 - დანამატების ცხრილი ორგანიზაციების მიხედვით:

ორგანიზაცია	დამტკ. საშტატო რიცხოვ.	ფაქტ. დასაქმ. რიცხოვ.	შრომის ანაზღ.	დანამატი	დანამატი %
ეკონომიკის სამინისტროს აპარატი	251	183	4,607,740	1,098,900	24%
ქონების ეროვნული სააგენტო	221	196	4,219,657	564,626	13%
სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	-	224	3,324,796	-	0%
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	-	92	3,005,812	224,735	7%
სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	-	54	2,529,913	649,680	26%
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	-	52	1,675,460	313,680	19%
საქ.ჰიდროგრაფიული სამსახური	-	77	1,312,354	56,391	4%
ტურიზმის ეროვნული ადმინ-ცია	83	60	1,462,615	248,330	17%
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	63	54	860,234	66,396	8%
აწარმოე საქართველოში	35	30	1,039,770	228,222	22%
სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	83	69	966,333	334,824	35%
ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი	-	14	716,593	-	0%
სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედ. ცენტრი	14	12	267,848	32,606	12%
საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო	30	9	345,930	101,475	29%
სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო	-	2	30,897	6,400	21%
სულ	780	1,128	26,365,952	3,926,265	

3. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებლები არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- 1) ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- 2) ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე.
- 3) ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
- 4) ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის - მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ექვქვემ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი.
- 5) ვაფასებთ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს. აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს.
- 6) მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე, ჩვენ სრულიად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

გიორგი ხითარიშვილი



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

აქტივები	ანგ. ნომერი	31/12/2017 წარდგენილი	31/12/2016 წარდგენილი
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1100-1200	42,044,846	18,895,491
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211	7,528,439	6,689,104
სხვა ანგარიშები ბანკში	1220	3,788,584	789,696
მიმდინარე ანგარიში არასაბიჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	24,442,624	8,351,424
ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240	98,544	31,932
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	1,270,224	1,270,224
დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	4,304,589	1,209,610
ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	42,585	5,214
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	9,146,710	7,835,116
საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	359,704	359,704
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	533,146	507,566
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	1355	6,818,436	5,093,907
აქტივების/მომსახურების მიწოდებით			
მოგების გადასახადი	1362	259,658	1,037,502
დამატებული ღირებულების გადასახადი	1364	1,005,530	716,000
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	10,200,436	9,500,061
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	4,609,771	2,935,066
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	1,244,761	2,631,163
სხვა მატერიალური მარაგები	1620	1,821,541	1,604,229
სულ მოკლევადიანი აქტივები		63,213,533	37,834,897
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	480,477,111	237,839,136
გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511	1,864,445	1,864,445
აქციები და სხვა კაპიტალი	1520	478,612,666	235,974,691
სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	2,571,467	907,889
ძირითადი აქტივები	2100	81,326,915	77,748,767
საცხოვრებელი შენობები	2111	39,769	40,195
არასაცხოვრებელი შენობები	2112	22,830,379	21,298,438
სატრანსპორტო საშუალებები	2121	3,976,506	2,458,239
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	13,423,306	13,658,346
არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	7,038,299	6,642,838
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	32,784,988	32,501,044
ფასეულობები	2300	15,167	15,167
მცირეფასი ქვები და ლითონები	2310	15,167	15,167
არაწარმოებული აქტივები	2400	10,626,313	9,725,125
მიწა	2410	10,625,949	9,725,215
საინვესტიციო ქონება	2500	-	-

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სულ გრძელვადიანი აქტივები		575,016,973	326,236,084
სულ აქტივები		638,230,506	364,070,981
ვალდებულებები			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები</i>			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	5,574,813	2,793,520
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	7,094,120	2,971,460
გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	766,632	293,159
გადასახდელი დღგ	3242	289,480	369,577
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245	2,415,871	581,524
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	538,818	529,540
წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282	2,216,930	313,870
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		12,668,933	5,764,980
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,996,245	2,996,245
გრძელვადიანი ვალდებულებები საბიუჯეტო სესხებით	3311	2,497,190	2,497,190
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,996,245	2,996,245
სულ ვალდებულებები		15,665,178	8,761,225
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	577,582,222	327,529,412
გაუნაწილებელი მოგება	5220	44,983,106	27,780,344
დაუფარავი ზარალი	5230	-	-
სულ კაპიტალი		622,565,328	355,309,756
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		638,230,506	364,070,981

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	2016 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	482,538,083		482,538,083	142,087,406
შემოსავლები	18,973,243	55,150,458	74,123,701	37,061,267
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	18,876,072	4,419,990	23,296,062	7,529,022
სხვა შემოსავლები	97,171	50,730,468	50,827,639	29,532,245
ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	944,822	944,822	765,778
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	36,812,561	36,812,561	27,659,324
სანქციები, ჯარიმები, საურავები	17,159	19,054	36,213	2,776
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	80,012	10,975,499	11,055,511	35,494
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	1,978,532	1,978,532	1,068,873
სულ	501,511,326	55,150,458	556,661,784	179,148,673
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	12,304,404	14,061,548	26,365,952	28,931,809
საქონელი და მომსახურება	59,806,968	11,961,879	71,768,847	59,560,691
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	3,932,206	1,914,216	5,846,422	4,888,942
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	49,737,022	-	49,737,022	33,425,131
გრანტების ხარჯი	109,915,081	3,561,954	113,477,035	1,909,938
სოციალური უზრუნველყოფა	222,632	213,409	436,041	512,505
სხვა ხარჯები	14,130,052	4,958,494	19,088,546	3,825,315
რეალიზებული მარაგების ხარჯი				
სულ	250,048,365	36,671,500	286,719,865	133,054,331
ფინანსური შედეგი	251,462,961	18,478,958	269,941,919	46,094,342

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	არასაბიჯეტ ო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	250,052,807	17,202,762	-	267,255,569
020 კორექტირებები: ¹	(4,864,829)	5,579,133	-	714,304
030 ცვეთა (+)	3,932,206	1,914,216	-	5,846,422
040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(3,912,332)	(157,372)	-	(4,069,704)
050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(146,716)	(70,589)	-	(217,305)
060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(1,594,590)	(68,989)	-	(1,663,579)
070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(3,175,485)	(222,883)	-	(3,398,368)
080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	32,088	4,184,750	-	4,216,838
090 წმინდა ფულადი სახსრები	245,187,978	22,781,895	-	267,969,873
საოპერაციო საქმიანობიდან ³				
100 ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110 არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120 ძირითადი აქტივები	-	-	-	-
130 სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
140 ფასეულობები	-	-	-	-
150 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
160 საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
170 არაფინანსური აქტივების შესყიდვა	(2,498,845)	(2,492,272)	-	(4,991,117)
180 ძირითადი აქტივები	(2,498,475)	(2,491,858)	-	(4,990,333)
190 სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
200 ფასეულობები	-	-	-	-
210 არაწარმოებული აქტივები	(370)	(414)	-	(784)
220 საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
230 წმინდა ფულადი სახსრები	(2,498,845)	(2,492,272)	-	(4,991,117)
არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴				
240 ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
250 წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(242,637,975)	-	-	(242,637,975)
260 წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	3,094,979	(313,686)	-	2,781,293
270 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	(239,542,996)	(313,686)	-	(239,856,682)
280 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	3,146,137	19,975,937	-	23,122,074

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

290	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	1,452,530	17,442,961	-	18,895,491
300	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	4,614,121	37,430,723	-	42,044,844
310	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)				-
320	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)				

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	327,524,126	27,784,927	355,309,053
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	5,287	(4,579)	708
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	327,529,413	27,780,348	355,309,761
არასაოპერაციო შემოსავლები	1,556,619	263,357	1,819,976
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	28,914	61,249	90,163
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	1,527,705	202,108	1,729,813
არასაოპერაციო ხარჯები	2,553,250	183,102	2,736,352
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	54,173	20,022	74,195
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,499,077	163,080	2,662,157
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	413,522	1,356,453	1,769,975
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	413,522	353,657	767,179
მოგების გადასახადი	-	1,002,796	1,002,796
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	-	250,048,365	36,671,500
ნაშთი წლის ბოლოს	326,119,260	276,552,515	389,294,910

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

	ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი გეგმით	დაზუსტებუ ლი გეგმით	გადახრა % დაზუსტებ ულ და დამტკიცებ ულ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრივი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრი ვ) ხარჯსა და დაზუსტებ ულ გეგმასა შორის	დარიცხულ ი ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივ) ხარჯს შორის
ხარჯები	133,149,000	240,713,216	180.78%	237,417,001	98.63%	250,048,365	12,631,364
მათ შორის:			#DIV/0!		#DIV/0!	-	-
1) შრომის ანაზღაურება	11,800,000	11,937,209	101.16%	12,304,755	103.08%	12,304,404	(351)
2) საქონელი და მომსახურება	76,822,000	65,381,921	85.11%	62,183,977	95.11%	59,806,968	(2,377,009)
მ/შორის ოფისის ხარჯი	-	-	#DIV/0!	2,082,860	#DIV/0!	1,871,240	(211,620)
მ/შორის: სხვა დანარჩენი საქ და მომსახურება	-	-	#DIV/0!	50,988,308	#DIV/0!	48,800,323	(2,187,985)
3) მირითადი საპიტალის მოხმარება	-	-	#DIV/0!	-	#DIV/0!	3,932,206	3,932,206
4) სუბსიდია	38,000,000	49,849,207	131.18%	49,787,488	99.88%	49,737,022	(50,466)
5) გრანტები	1,300,000	99,105,944	7623.53%	98,745,240	99.64%	109,915,081	11,169,841
მ/შორის: გრანტების საერთაშორისო ორგანიზაციებს	1,200,000	1,180,829	98.40%	1,237,779	104.82%	1,237,779	-
მ/შორის: გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	1,000,000	97,925,115	9792.51%	97,507,461	99.57%	97,476,593	(30,868)
მ/შორის: უსასყიდლოდ გადასაცემი ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს (არაფინანსური აქტივები) გრანტით ხარჯი	-	-	#DIV/0!	-	#DIV/0!	11,200,709	11,200,709
6) დამპირავლების მიერ გაწეული სოციალური დახმარება	220,000	230,824	104.92%	222,632	96.45%	222,632	-
7) სხვა ხარჯი	5,007,000	14,208,111	283.76%	14,172,909	99.75%	14,130,052	(42,857)
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,157,000	2,862,627	55.51%	2,482,973	86.74%	-	(2,482,973)
ფინანსური აქტივების ზრდა	338,161,000	242,638,000	71.75%	242,637,975	100.00%	-	(242,637,975)
ვალდებულებების კლება	-	134	#DIV/0!	134	100.00%	-	(134)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE